

ვაჟა შენგელია, ცირა ჯანჯღავა

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

Vazhashengelia@gmail.com. cirunaja@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.74>

საერთო ნასესხები ლექსიკა ქართველურ და ჩერქეზულ ენებში (4)

საკვანძო სიტყვები: ნასესხები ლექსიკა, ქართველური ენები, ჩერქეზული ენები

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „ენა და კულტურა“ 2021-2023 წლებში წარმოდგენილი იყო მოხსენებები საერთო ნასესხები ლექსიკის შესახებ ქართველურ და ჩერქეზულ ენებში; განხილული იყო ქართველურ ენათა 70-მდე ლექსიკური ერთეული და შესაბამისი სიტყვები ჩერქეზულ ენებში. ამჯერად მოხსენება შეეხება 18 ლექსიკურ ერთეულს.

1. ადათი

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით, ადათი არის „მამა-პაპათაგან დამკვიდრებული ჩვეულება, ხალხში სავალდებულოდ მიღებული წესი“ (ქეგლი 1950 : 108). არაბული წარმოშობის ეს სიტყვა წარმოდგენილია მეგრულ-ლაზურშიც: მეგრ. ადათი, ლაზ. ადეთი. ლაზურში, როგორც ჩანს, თურქულის გზით არის შემოსული (შდრ. თურქ. adet).

ეს ნასესხობა წარმოდგენილი ჩერქეზულ ენებშიც: ადიღ. ადათ, ყაბ. ადთ.

2. ალაჰი

ქართულში ნასესხებია არაბულიდან; ჩერქეზულ ენებში ფონეტიკურად განსხვავებული ფორმით დამკვიდრებულია: ადიღ. ალ'აჰ, ყაბ. ალ'ეჰ. ყაბარდოულში ამოსავალ ა-ს გ მოუცია.

3. არაყი

ქართველურ ენათაგან გვაქვს ქართულსა და სვანურში: ქართ. არაყი, სვან. ჰარყ; წარმოდგენილია ორივე ჩერქეზულ ენაში: ადიღ. არჰ, ყაბ. არყ. სვანურში ქართულიდან უნდა იყოს შესული (საღლიანი 2023 : 476). ყურადღებას იქცევს სვანური ფორმის თავკიდური ჰ და უმლაუტიზებული , ჩერქეზულ ენებში – კანონზომიერი შესატყვისობა ადიღ. ჰ; ყაბ. ყ. სიტყვა არაბული წარმომავლობისაა (შაგიროვი 1977ა : 63; გიგინეიშვილი 2024 : 20).

4. ასლანი „ლომი“

ლაზურში ეს სიტყვა თურქულიდან არის შემოსული. ჩერქეზულ ენებში, სონორი ლ-ს უქონლობის პირობებში, ს-ს მომდევნო პოზიციაში მივიღეთ ფშვინვიერი ლატერალი – ადიღ. ასლ'ან, ყაბ. ასლ'ნ (ე. ი. *სლ > სლ').

5. აქილი „ჭკვიანი“

დასტურდება მეგრულ-ლაზური ენის ლაზურ დიალექტში; ბოლოკიდური -ლი თურქული სუფიქსური ელემენტია. ჩერქეზულ ენებში „ჭკუის, გონების“ მნიშვნელობით გვხვდება: ადიღ. აკელ, ყაბ. აყელ.

6. ბრინჯი

სიტყვის ფუძე სამსავე ქართველურ ენაში წარმოდგენილია ფონეტიკურად იდენტური ფორმით (ბრინჯ). ადიღურსა და ყაბარდოულში არსებული ფორმები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება: ადიღ. ფენჯ, ყაბ. ფრუნჟ. მიიჩნევა სპარსულ ნასესხობად (შაგიროვი 1977ა : 13; ანდრონიკაშვილი 1996 : 204). ადიღურ ფორმაში ფუძისეული რ დაკარგულა, ი-ს გ მოუცია; ყაბარდოულში ფუძისეული ი-ს ნაცვლად გვაქვს უ; მომხდარა, აგრეთვე, დეზაფრიკატიზაცია – ჯ > ჟ.

7. ბუღა

სიტყვა თურქულიდან არის ნასესხები როგორც ქართულსა (გიგინეიშვილი 2024 : 69) და სვანურში – ქართ. ბუღა, სვან. ბუღა, ისე – ადიღურში (ბგღ), სადაც თავკიდური ბ-ს გავლენით ღ-ს ლაბიალიზაცია განხორციელდა.

8. დელი

თურქულიდან შემოსულა ლაზურში, ადიღურსა და ყაბარდოულში ერთი და იმავე მნიშვნელობით – „გიჟი, სულელი“: ლაზ. დელი, ადიღ. და ყაბ. დიღ'. ადიღურ ენებში აღსანიშნავია *ე → ე პროცესი და სიტყვის ბოლოკიდურად -ს გაჩენა.

9. დინი

ლაზური დინი „რჯული“ და ჩერქეზულ ენათა დინ თურქულიდან არის შეთვისებული.

10. დინჯი

ბ. გიგინეიშვილი ვარაუდობს, რომ ქართული დინჯი „აუჩქარებელი, დარბაისელი, მშვიდი“ თურქული ენიდან უნდა იყოს ნასესხები (გიგინეიშვილი 2024 : 127). იგივე სიტყვა თურქულიდან შეუთვისებია ყაბარდოულ ენასაც: ყაბ. თენშ „1. მსუბუქი, ადვილი; 2. მოხერხებული“. ყაბარდოულში ივარაუდება სიტყვის ბოლოს *ჯ > ჩ > შ პროცესი და რეგრესული ნაწილობრივი ასიმილაციით სიტყვის თავკიდური *დ > თ. სემანტიკური სხვაობა ქართულ და ყაბარდოულ ფორმებს შორის დიდი არ არის.

11. კასრული

ქართული კასრული „ცილინდრული ფორმის ბრტყელძირიანი ლითონის ჭურჭელი“ გერმანულიდან არის ნასესხები რუსულის მეშვეობით (ქეგელი 1955 : 1090). ეს ნასესხობა ჩერქეზულ ენებშიც რუსულის გზით შესულა: ადიღ. კასტრიულ', ყაბ. ჭსტრულ'. საყურადღებოა ყაბარდოულში განხორციელებული აფრიკატიზაცია: *კ > ჭ.

12. ლაღუმი

თურქულიდან მომდინარეობს ქართული ლაღუმი || ლაღმი „ფეთქებადი ნივთიერება, დინამიტი“ და ადიღ. ლ'აღმ, ყაბ. ლ'აღმ (შაგიროვი 1962 : 200; გიგინეიშვილი 2024 : 287).

13. მაშინა

ქართველურ ენათა მაშინა || მაშნა-ს შეიძლება მიეცეს ბარბარიზმის კვალიფიკაცია. ეს სიტყვა ჩერქეზულ ენებშიც გვაქვს: ადიღ. მაშინ, ყაბ. მაშინ.

14. სამოვარი

ეს რუსული წარმოშობის სიტყვა დამკვიდრებულია ქართულსა და ჩერქეზულ ენებში: ქართ. სამოვარი, ადიღ. სმაარ, ყაბ. სამოვარ.

15. უთო

სხვადასხვა ფონეტიკური სახით წარმოდგენილია სამივე ქართველურ ენასა და ორივე ჩერქეზულ ენაში: ქართ. უთო, მეგრ. უნთო – ლაზ. უთი, სვან. უნთო, ადიღ. გოთ, ყაბ. ეთ. თურქული ნასესხობაა.

16. ქისა

სიტყვა არაბული წარმოშობისაა, საიდანაც უსესხია ქართულს, ქართულიდან – მეგრულს, სადაც ის სხვადასხვა ფონეტიკური სახით არის წარმოდგენილი – ქისა || ქესა || ქესა || ქერსა. სვანურში გვაქვს ქესა.

ჩერქეზულ ენებში თურქულიდან უნდა იყოს შესული; თავკიდური ქ-ს აფრიკატიზაციის შედეგად მივიღეთ ჩგს „ქისა“, გ ← ი.

17. ხაზირი

ამ სიტყვას „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ აქვს კუთხურის კვალიფიკაცია. გვხვდება მეგრულშიც. წარმოდგენილია ორივე ჩერქეზულ ენაში: ადიღ. ჰაზგრ, ყაბ. ჰზგრ. სიტყვა არაბულ-სპარსული წარმოშობისაა (ქეგლი 1964 : 1315).

18. ხათრი

გვაქვს სამივე ქართველურ ენაში. როგორც ჩანს, თავდაპირველად ქართულში შემოვიდა არაბულიდან თუ სპარსულიდან, ქართულის მეშვეობით – სხვა ქართველურ ენებში.

ჩერქეზულ ენებში განსხვავებული სემანტიკით დამკვიდრებულა (შაგიროვი 1977ბ).

ლიტერატურა:

აბაევი 1958 – В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка, т. I, Изд. «Наука», Москва-Ленинград.

ანდრონიკაშვილი 1966 – მ. ანდრონიკაშვილი, ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, ტ. II, ნაწ. I, გამომც. „ირმისა“, თბილისი.

გიგინეიშვილი 2024 – ბ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, გამომც. „პროგრამა ლოგოსი“, თბილისი.

საღლიანი 2023 – მ. საღლიანი, ნასესხებ სიტყვათა ლექსიკონი სვანურში, ტ. II, გამომც. „უნივერსალი“, თბილისი.

ქეგლი 1950 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

ქეგლი 1955 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. IV, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, გამომც. „მეცნიერება“, თბილისი.

შაგიროვი 1962 – А. К. Шаги́ров, Очерки по сравнительной лексикологии адыгских языков, Кабардино-Балкарское книжное издательство, Нальчик.

შაგიროვი 1977ა – А. К. Шаги́ров, Этимологический словарь адыгских языков, т. I, Изд. «Наука», Москва.

შაგიროვი 1977ბ – А. К. Шаги́ров, Этимологический словарь адыгских языков, т. II, Изд. «Наука», Москва.

ჩიქობავა 1938 – არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა, ტფილისი.

Vaza Shengelia, Cira Janjghava

National Academy of Sciences of Georgia

Arn. Chikobava Linguistic Institute

Tbilisi, Georgia

Vazhashengelia@gmail.com. cirunaja@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.74>

Common Borrowed Vocabulary in the Kartvelian and Circassian Languages. IV

Abstract

At the International Conference “Language and Culture” in 2021-2023, the studies on common borrowed vocabulary in the Kartvelian and Circassian languages were presented; about 70 lexical units of the Kartvelian languages and corresponding words in the Circassian languages were discussed. This time, the work will concern 18 lexical units.

Key words: borrowed lexical units, Kartvelian languages, Circassian Languages